ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3020391

ნომერი: AR1466999

თარიღი : 27.12.2016

გაცემის თარიღი : 27.12.2016

გაცნობის თარიღი : 29.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N80ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მოჰამედ ჰასან გივე ჩიან პ/ნ 01397002737
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 3ბ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის №2933918 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 27 დეკემბრის №AR1466999 განცხადებით მომართა მოჰამედ ჰასან გივე ჩიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016

წლის 07 ნოემბრის №2933918 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის №2933918 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა ,№80ა, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.72.14.038.099), მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობის 2251.81 კვ.მ-ის დაფიქსირება, საცხოვრებელი ფართობის 1412.71 კვ.მ-ის, კომერციული ფართობის 342.40 კვ.მ-ის, ხოლო, საზაფხულო ფართობის 53.20 კვ.მ-ის დაფიქსირება, ასევე, დამხმარე ფართობის მაჩვენებლის გაუქმება და შეთანხმებული გეგმების, 2016 წლის 15 ნოემბერს №AR1456535 განაცხადით წარმოდგენილი, შესწორებული გეგმებით ჩანაცვლება.
სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელები და გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის №2933918 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:2251.81, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:1412.71, კომერციული ფართობი (კვ.მ).:342.40, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:53.20, ამოღებულ იქნას დამხმარე ფართობის მაჩვენებელი და შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2016 წლის 15 ნოემბერს №AR1456535 განცხადებით წარმოდგენილი, შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის №2933918 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ნოემბრის №2933918 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.